პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 278 (13363) | ხუთშაბათი, 25 ნოემბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## დღეს ნომერში:


- სამშობლოს უპატაკებენ სოფლის მშრომელები
- მოთავები პრიან კომუნისტები
- უცხოეთისა და სპორტის ახალი ამგები


# პარტიული კონფერენციები

სულ უფრო ფართოდ ჩაღდება მზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII კრილობისათვის. პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მთავრდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები, კრებებმა ჩაიარა კომუნისტთა მაღალი აქტივობის ვითარებაში და ცხადყო პარტიული რიგების ურყევი იდეური და ორგანიზაციული ერთიანობა, კომუნისტთა თორმეტმილიონიანი არმიის მტკიცე გადაწყვეტილება განუხრელად განახორციელოს ჩვენი პარტიის ლენინური გენერალური ხაზი.

ახლა დაიწყო რაიონული, საქალაქო და საოკრუგო პარტიული კონფერენციების პერიოდი. ისინი შეაჯამებენ მუშაობის შედეგებს, ყოველმხრივ განიხილავენ, თუ რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს უახლოეს დროში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისათვის თავიანთ რაიონებში, ქალაქებში, ოკრუგებში, ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური საქმიანობის დონის ამაღლებისათვის.

კონფერენციები, ისევე როგორც პარტიული ორგანიზაციების მთელი მრავალმხრივი საქმიანობა უკანასკნელ წელს, მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობის მეთოდებისა და სტილის სრულყოფისათვის. პარტიის დიდი შემოქმედებითი მუშაობის ვითარებაში. პარტიისა და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაზე კეთილსაყოფელი გავლენა მოახდინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრის (1964 წ.) პლენუმებმა. ამ პლენუმების გადაწყვეტილებათა მთავარი აზრი ის არის, რომ მათ პარტიისა და ხალხის ყურადღების ცენტრში დააყენეს ყველა სასიცოცხლო მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვისადმი ნამდვილად მეცნიერული მიდგომის ამოცანა, დაგმეს სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის გამოვლინებანი, აღადგინეს პარტიული ორგანოების ბაგიის ლენინური ორგანიზაციული პრინციპები, ხელმძღვანელობის ლენინური სტილი. ჩვენში ახლა გაბატონებულია და ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი ატმოსფერო, მკვიდრდება ხელმძღვანელობის ისეთი ხასიათი, რომელიც საშუალებას გვაძლევენ უფრო ფართოდ გავშალოთ ხალხის ინიციატივა, შემოქმედებითი აზროვნება, უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის მდიდარი რესურსები და სოციალისტური წყობილების უპირატესობანი საშობლოს ეკონომიური ძალიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტები, ყველა მშრომელნი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესახებ. ამ ისტორიულ დოკუმენტებში ნათლად ჩანს ლენინური ბრძოლა ბოლშევიზმის ინტერნაციონალური, ინტერესებისადმი ერთგულებისა,

# პარტიული ცხოვრება

# ინიციატივა და პასუხისმგებლობა

**თ. მენთეშაშვილი,**
საქართველოს კპ რუსთავის
საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ერთ დღეს ჩემს სამუშაო ოთახში ქერათმიანი, ახოვანი შუახნის მამაკაცი შემოვიდა.

— პენსიონერი კომუნისტი, გადამდგარი ოფიცერი, — გამაცნო თავი და გვარი დამისახელა.

ომგადახდილი ადამიანი აღელვებით მიყვებოდა, რომ ერთ-ერთ სამშენებლო ობიექტზე ვეებერთელა მიწაყრილის მოსაწყობად მიტანილ სამშენებლო ნაგავსა და მიწას დიდძალ მსხვილ რკინის ნაჭრებსაც აყოლებდნენ და სამუდამოდ იქვე მარხავდნენ.

— და ეს იმ დროს, — განაგრძობდა იგი, — როცა პიონერები მეტალურგიული ქარხნისათვის საყოფაცხოვრებო ჯართის შეგროვებისას კონსერვის ყუთებსაც კი უყურადღებოდ არ ტოვებენ.

ჩვენი საუბარი, რომელიც სხვა ყურადსაღებ საკითხებსაც შეეხო, საინტერესო გამოდგა, რისთვისაც პენსიონერ კომუნისტს გამომშვიდობების დროს დიდი მადლობა გადავუხადე.

შემდეგ ზემოთ მოყვანილი ფაქტები პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის საქალაქო კომიტეტს შევამოწმებინეთ. მართლაც გამოირკვა, რომ რუსთავის რკინაბეტონის ნაწარმთა კომბინატის, მსხვილპანელიანი სახლების შენებელი ქარხნისა და სხვა ორგანიზაციების ზოგიერთი მუშაკის დაუდევრობით ბეტონის უვარგის კონსტრუქციებთან და ჯარმოების სხვა ნარჩენებთან ერთად გაჰქონდათ დიდძალი რკინის არმატურა, სორტამენტული ლითონის ნაჭრები და სხვ., რაც საბოლოოდ თავს იყრიდა აღნიშნულ მიწაყრილზე. შემოწმებამ გამოამზეურა უდარდელი, უყაირათო მუშაკები. მათ მოვთხოვეთ, ხელოზოულად გავფრთხილდეთ უპასუხისმგებლობისათვის.

ეს ფაქტი შეიძლება არც კი მოგვეტანა, რუსთავისათვის ესოდენ პარადოქსული რომ არ ყოფილიყო. მართლაც, ფოლადის გამოსადნობად ამოდენა ქარხანა აგვაშენებია, ათასობით ადამიანი დაგვისაქმებია, მთელ რესპუბლიკაში შეგროვილი ჯართი აქ მოგვიტანია და სულ ახლოს, ქარხნის გვერდით, გამომდნარი რკინის ნაჭრები დასამარხად გაგვიმეტებია. მაგრამ ეს საქმის მაინც ერთი მხარეა. ამ ეპიზოდში მთავარი ის არის, რომ ამ ამბით დაინტერესდა ადამიანი, რომელსაც უშუალოდ არც კი ეხებოდა იგი, და საერთო საქმეს გულმხურვალედ მოეკიდა.

ეს ფაქტი ჩვენთან გამონაკლისი როდია. ქალაქ რუსთავის ყოველი დღე სავსეა საბჭოთა ადამიანების მაღალი აქტიურობის, თვითმოქმედებისა და ინიციატივის მაგალითებით.

ჩვენი ქალაქის კომუნისტების, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტიურობის განვითარება რუსთავის პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთ მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნიათ. იმდენად, რამდენადაც კომუნისტური ფორმაციის შეუფლებელია მასების აქტიურობის შემდგომ გაუშლელად და გაუფარფოიებლად.

რუსთავის მთელი რიგი საწარმოებისა და მშენებლობების კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები ბევრი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები არიან, ხოლო მათი ყოველი ინიციატივა ანჭარებს ტექნიკურ პროგრესს, ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, ეკონომიური მარჯვენელების გაუფჯობესებას.

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ შეიტყო მეტალურგიული ქარხნის ინჟინერთა ჯგუფის თაოსნობა მილსაგლინავი დგანის კომპლექსური ავტომატიზაციისა და მექანიზაციის შესახებ. ამ ტექნიკური სიახლის ავტორებმა ლენინური პრემია დაიმსახურეს და რუსთაველ მეტალურგებს შორს გაუთქვეს სახელი. ამავე ქარხნის კომუნისტთა ინიციატივით გაჩაღდა ბრძოლა საწარმოს რენტაბელობისათვის, რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი პარტიულმა ორგანიზაციამ და საწარმოს მთელმა კოლექტივმა.

ბევრი სიახლის ინიციატორები არიან ჩვენი სახელოვანი მშენებლები. რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში სულ ცოტა ხნის წინათ დასაბამი მიეცა საინტერესო ინჟინრული ჩანაფიქრის განხორციელებას — ბეტონის, უარმატურო მილების მეჭანიზებული წესით დამზადებას. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მუშაკთა გაბედული წინადადებით ბევრ პასუხსაგებ ობიექტზე ბეტონის მონოლითური კონსტრუქციები შეიცვალა ასაწყობი რკინაბეტონით. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად გააიაფა მშენებლობა და საგრძნობლად გაზარდა შრომის ნაყოფიერება. მსგავსი მაგალითები სხვაც ბევრია. მარტო მიმდინარე წლის 9 თვის მანძილზე ქალაქის საწარმოებსა და დაწესებულებებში დაინერგა 700-მდე რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა წლიური ეკონომიური ეფექტი 2,5 მილიონ მანეთზე მეტია.

ახლა, როცა ჩვენი პარტია, მილიონობით მშრომელი შეიარაღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, უფრო ფართო გასაქანი ეძლევა ადამიანთა ინიციატივასა და თაოსნობას, პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლებას საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში.

ქალაქის სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტისა და მშენებლობების პარტიული ორგანიზაციები დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან მასების ინიციატივისა და თვითმოქმედების განსავითარებლად, რაზმავენ

**მარნეულის** რაიონის ალგეთის მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 700 ტონა თამბაქო ნაცვლად 600 ტონისა. ამ საქმეში დაწინაურდა ბრიგადა, რომელსაც ი. ალიევი ხელმძღვანელობს. **სურათზე:** ბრიგადირი ი. ალიევი და მოწინავე მუშა ხ. ჰასანოვა.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ი. მღებრიშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**აბმხ. ნ. ბ. ბოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**საბჭოთა** ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისად დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგე აბმხ. ნიკოლოზ ალექსის-ძე **გოგლიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
**1965 წლის 24 ნოემბერი.**

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ნ. ა. ბოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**საბჭოთა** ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისად დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგე ამხ. ნიკოლოზ ალექსის-ძე **გოგლიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
**1965 წლის 24 ნოემბერი.**

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ი. ო. ბოგოლაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**პარტიულ** და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისად დაკავშირებით ხაშურის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. იასონ ოქროსძე **ბოგოლაძე** დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი, **1965 წლის 23 ნოემბერი.**

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ნ. ა. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**სოფლის** მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განათლების სამმართველოს უფროსი იოსეს ანდრიასძე **კახიანი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
**1965 წლის 23 ნოემბერი.**

# ინიციატივა და პასუხისმგებლობა

მათ პარტიის XXIII, საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობების ღირსეულად შესახვედრად. პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან წინასაყრილობო სოციალისტურ შეჯიბრებას, მუდმივად ზრუნავენ მისი ქმედითობისათვის.

რუსთაველი მეტალურგების პირობაა წლიური გეგმა ვადამდე შეასრულონ და გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათასი ტონა თუჯი, 2 ათასი ტონა აგლომერატი, 5 ათასი ტონა მილი. მეცამეტეებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ 20 ათასი ტონა ცემენტი და 800 კუბური მეტრი ფიბროლიტი.

მშენებლებისა და მემონტაჟეების გადაწყვეტილებაა 25 დეკემბრისათვის დაამთავრონ სამშენებლო სამუშაოები, საცდელი ექსპლოატაციისათვის მოამზადონ ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარი, ქვანახშირის უწყვეტად დაკოქსვის მოწყობილობა და სხვ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში დიდი უურადღება აქვს დათმობილი უშუალოდ სამრეწველო საწარმოებში დაგეგმვისა და სამეურნეო ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფის საკითხებს. ამ მხრივ ფართო შესაძლებლობებს იძლევა ახლახან გამოქვეყნებული დებულება სოციალისტური სახელმწიფო სამრეწველო საწარმოს შესახებ. იგი მნიშვნელოვნად აფართოებს საწარმოს სამეურნეო ინიციატივასა და დამოუკიდებლობას, დიდ უფლებებს აძლევს საწარმოს კოლექტივს, მის ხელმძღვანელებს. მოხსნილია ზემოდან ზედმეტი რეგლამენტაცია, შეზღუდვები. ფართო გასაქანი ეძლევა თვითმოქმედებასა და თაოსნობას. ამასთანავე მნიშვნელოვნად იზრდება საწარმოს კოლექტივისა და მისი ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა პარტიისა და საზელმწიფოს წინაშე წარმოების გონივრულად, ეფექტურად, მომგრძელებით მართვისათვის. სამეურნეო ხელმძღვანელები პასუხს აგებენ იმაზე, რომ წარმოება მეტ დაგროვებას იძლევდეს, დროულად ასრულებდეს დაკვეთებს, მისი პროდუქცია ხარისხით არ ჩამოუვარდებოდეს მსოფლიოს საუკეთესო სტანდარტებს.

თუმცა ხელმძღვანელებისათვის ფართო უფლებების მინიჭება, ახალი სამოქმედო ასპარეზის გახსნა და პასუხისმგებლობის ამაღლება მთავარი, მაგრამ საქმის მაინც ერთი მხარეა. უფლებები თავისით არაფერს არა ქმნის. საჭიროა მათი სწორად გამოყენება, ადამიანთა ინიციატივის, თვითმოქმედების გონივრულად წარმართვა. ამიტომ აუცილებელია მუშაობა ისე მოვაწყოთ, რომ სამეურნეო მშენებლობის ყველა გადამწყვეტ უბანს სათავეში ედგეს საქმის მცოდნე, დაინტერესებული ადამიანი. ეს წარმატების მიღწევის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. უამისოდ რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მოპოვებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ კადრების სწავლება, მათი პრაქტიკული გამოწრთობა, თეორიული ცოდნით შეიარაღება პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი და მსხვილ საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები კადრების მომზადებაში ახლა განსაკუთრებით გამოჰყოფენ წარმოების მეთაურთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ეკონომიური ცოდნით შეიარაღების საკითხს.

ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილია ეკონომიური სკოლა პარტიული და სამეურნეო აქტივისათვის. ეკონომიური სწავლების კურსები ჩამოყალიბდა მეტალურგიულ ქარხანაში, ქიმიურ კომბინატში და სხვაგან. ამასთანავე საგულისხმოა, რომ პარტიული ორგანიზაციები მსგავსი სკოლებისა და კურსების ქსელის გაფართოებასთან ერთად განსაკუთრებულ უურადღებას აქცევენ იმას, რომ მეცადინეობა ბიმდინარეობდეს მაღალ დონეზე, მსმენელები თეორიული დონის ამაღლებასთან ერთად იძენდნენ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების როგორც საერთო, ისე კონკრეტულ ჩვევებს.

საწარმოთა კოლექტივების, მათი ხელმძღვანელების უფლებათა გაფართოება იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ კომპეტენციაში შემავალი საკითხების გადაწყვეტა-განხორციელებაში სრულიად დამოუკიდებელნი იყონ და მათ არავინ უწევდეს მეთვალყურეობას. მართალია, ყველგან და ყველაფერში რეგლამენტირებას, წვრილმან მეურვეობას საკმაოზე მეტად უნდა შეეკვეთოს ფრთები და ფართო გასაქანი მიეცეს მუშაობაში თვითმოქმედებას, მაგრამ ამასთანავე უნდა გაძლიერდეს შესრულებისათვის პასუხისმგებლობა და შემსრულებლებისადმი მომთხოვნლობა. ჩვენი ქალაქის ზოგიერთ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ვხვდებით ისეთ მავნე პრაქტიკას, როგორიც არის ნაკისრი ვალდებულებათა შეუსრულებლობა. ხან კი საქმე იქამდეც მიდის, რომ ზოგიერთ ხელმძღვანელს ვალდებულება იქნება შეხამებული. საქალაქო კომიტეტი ამა თუ იმ სამრეწველო ხასიათის საკითხის განხილვისას ცდილობს ორგანიზაციის წინაშე მდგომი საერთო ამოცანებიდან გამოპყოს და გამოკვეთოს ყველაზე მთავარი, არსებითი საკითხები, რომელთა შესრულებასაც ავალებს ამა თუ იმ პასუხისმგებელ მუშაკს გარკვეული ვადის ჩვენებით. შემდგომში, როგორც წესი, დავალების შესრულება მოწმდება და პასუხისმგებელი მუშაკის მიერ გაწეულ შრომასაც მიღწეული შედეგის მიხედვით ეძლევა შეფასება.

ასეთი პრაქტიკა საშუალებას იძლევა, ჯერ ერთი, სწორი მიმართულება მიეცეს საწარმოს კოლექტივსა და მის ხელმძღვანელებს საერთო ამოცანის გადასაჭრელად, მეორეც, მხოლოდ საარსებო საკითხებზე ყურადღების გამახვილებით ხელმძღვანელს თანამედროვე ეძლევა სრულად გამოიყენოს თავისი უფლებები, გამოცდილება, ორგანიზატორული ნიჭი, გაქანება მისცეს საკუთარ შემოქმედებას, მესამე — შესრულების კონკრეტული ვადის ჩვენება და პასუხისმგებელი პირის გამოყოფა კადრებში აძლიერებს მომთხოვნელობასა და პასუხისმგებლობას. მუშაობის ასეთი გამოცდილება სავსებით შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ადამიანთა ინიციატივის გაშლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების სწორ შერწყმას.

დიდი ამოცანები დგას რუსთავის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და საქალაქო მეურნეობის მუშაკთა წინაშე ახლო მომავალში. უაბლოეს წლებში ქალაქში გათვალისწინებულია 20-მდე მსხვილი და საშუალო საწარმოს მშენებლობა და გაფართოება. მარტო მეტალურგიულ ქარხანაში თუკის წარმოება 2,5-ჯერ, ფოლადისა 2-ჯერ, ნაგლინისა 2,5-ჯერ უნდა გაიზარდოს.

გათვალისწინებულია რუსთავის ქიმიური კომბინატის შემდგომი გაფართოება, რის შედეგადაც სინთეზური ამონიუმის წარმოების სიმძლავრე 2-ჯერ გაიზრდება, აზოტის სასუქებისა ამონიუმის სულფატზე გადაყვანით — 1,5-ჯერ, კაპროლაქტამისა — 1,5-ჯერ და ა. შ.

ახლო მომავალში მთელი სიმძლავრით ამოქმედდება დიდი ქიმიის გიგანტი — სინთეზური ბოჭკოს ქარხანა.

მომავალ ხუთწლედში უნდა ამუშავდეს ფოლადსამსხმელი, ლითოკონსტრუქციების, ქიმიური რეაქტივებისა და სხვა ქარხნები.

მნიშვნელოვნად იზრდება კომუნალური მეურნეობის ობიექტების, სახლთან და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანესებულებათა მშენებლობის ტემპებიც.

ძნელია შეასრულო ეს დიდი ამოცანები ძველებურად, ახალი, ცხოვრებისეული მოთხოვნების გაუთვალისწინებლად. და როდესაც ამ ამოცანებს ვუშზერთ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე, კიდევ და კიდევ ვრწმუნდებით პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა დროულობაზე, აუცილებლობაზე, ღონისძიებებისა, რომელთა წარმატებით განხორციელებისათვის ესოდენ საჭიროა ადამიანთა თაოსნობა, მტკიცე დისციპლინა და მომთხოვნელობა, სწორედ ამიტომ მიიჩნევენ ადამიანთა ინიციატივისა და თვითმოქმედების ფართოდ განვითარებას პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები კადრებთან მუშაობის ესოდენ მნიშვნელოვან უბნად.



# შემოწმების უფლების შესახებ

ჩემმი განკარგულებით რამდენიმე ბრიგადაში [illegible] ოთ ოდენ გამოდიოდნენ მუშები სამუშაოზე. გამოვლინებულ იქნა, მრომის ორგანიზაციის, სამუშაო დროის დაკარგვის საკმაოდ ბევრი [illegible] ნა საწარმო თათბირის განსახილველად. მაგრამ [illegible] ბოჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი და მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე [illegible] განაცხადეს, რომ მე უფლება არა მაქვს მოვახდინო ასეთი შემოწმება მათ უკითხავად. სწორია თუ არა ეს?

მინტერესებს მეორე მხარეც, საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ხშირად ამოწმებს მუშებისათვის მიცემულ განრიგებს. ჩემ უკითხავად. მე ნორმადარს მითითება მივეცი: უჩემოდ არ მისცეს მას განრიგები შესამოწმებლად. ამასთან იმას ვეყრდნობი, რომ წარმოების მდგომარეობისათვის პასუხს ვაგებ მე. როგორც საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი. თუ პარტორგანიზაციის მდივანს ესა თუ ის დოკუმენტი სჭირდება, შეუძლია მე მომთხოვოს. ბოხოვთ მიპასუხოთ, მართალი ვარ თუ არა ამ შემთხვევაში?

**ა. ვასილიევი,**

**მეცხალეობა-მეცენახეობის საბჭოთა მეურნეობა „ოურგან-ტიუბეს“ მთავარი აგრონომი,**

ბაკურიანი, ტაჯიკეთის სსრ.

**პატივცემულო** ამხ. ვასილიევ! როგორც თქვენი წერილიდან ჩანს, თქვენთან შექ�ილა არეულ-დარეული სწორი ურთიერთობა პარტორგანიზაციასა და ადმინისტრაციას შორის. სკკპ წესდების მიხედვით საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის სტატუსი, ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელს, მას შეუძლია საკმე იქონიოს უშუალოდ ნორმადარსთან ან სხვა თანამშრომელთან, რომელიც დოკუმენტაციას ანაგებს. ამიტომ თქვენ მართალი არ იყავი, როცა ნორმადარს მითითება მიეცით არ შეესრულებინა პარტორგანიზაციის მდივნის თხოვნა.

მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, მართალი არ არიან ისინიც, ვინც აცდადეს, თითქოს მთავარი აგრონომი წარმოების მდგომარეობის შემოწმებას არ უნდა ახდენდეს, თუ წიგნისწარ არ შეატყობინა პარტორგანიზაციის მდივანს ან მუშათა კომიტეტის თავმჯდომარეს. თქვენ, როგორც საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი და დირექტორის მოადგილე, პასუხს აგებთ მთლიანად მეურნეობის მდგომარეობისათვის, კერძოდ შრომის დისციპლინის მდგომარეობისთვისაც. რაკი ასეა — ყოველი შემოწმება, რომელიც ეწყობა შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით, მათ შორის ამის შემოწმებაც, დროულად გამოდიან თუ არა ადამიანები სამუშაოზე, თქვენი რწმენებისა და თქვენი საწარმოო მოვალეობის ფარგლებშია. აგრეთვე სავსებით გასაგებია, რომ პარტიულ ხელმძღვანელებს არ შეუძლიათ ეწიოდნენ ადმინისტრაციის მაგიერობას, იძლეოდნენ მთავარი აგრონომის განკარგულებათა საწინააღმდეგო მითითებებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: დისციპლინისათვის ბრძოლაში კარგი შედეგების მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ადმინისტრაცია, პარტიული კოლექტივი და პროფკავშირული ორგანიზაცია მეთანხმებულად, შეწყობილად, გაერთიანებულად მოქმედებენ. სწორი იქნებოდა, რომ საკითხი მუშაობაში მთავარი სპეციალისტისა და პარტიულ და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ განგებელთან საბჭოთა მეურნეობის პარტიულ ბიუროში ან სხვა პარტიულ ინსტანციაში. საქმის სარგებლობისათვის საჭიროა იქნებოდა გულახდილად გამოგვთქვათ ყველა ურთიერთპრეტენზია, ჩაგეხედათ პარტიის წესდებაში და გარკვეულიყავით საწარმოს ერთმანართვალობის პრინციპებსა და პარტორგანიზაციის მხრივ, ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის ფორმებში. მთავარია, ოღდა მიაღწიოთ შეთანხმებულობას მუშაობაში იმისათვის, რომ წარმატებით უხელმძღვანელოთ საბჭოთა მეურნეობის კოლექტივს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი მოითხოვენ იმას, რომ გაძლიერდეს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის.

(ტურნ. „პარტიინაია ჟიზნ“, № 20)

# გაემოუვნის მონაწილეთა დაჯილდოება

ზესტაფონი. (სპეც. კორ.). აქ მოეწყო სოფლის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, სადაც მონაწილეობდნენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, უხვი მოსავლის ოსტატები.

საუკეთესო ექსპონატებისათვის ჟიურომ რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოდა პირველი და მეორე სკირის, ფუთის, ალავერდის, ტაბაკინის, კვალითის, ქვეშე საზანის კოლმეურნეობები. ფასიანი საჩუქრები გადაეცა გამოფენის 31 მონაწილეს. მაჯის საათით დაჯილდოდეს მევენახეები ალავერდელი სპეციალისტები შრომის გმირი ბ. კვპანტრიშვილი, მეორე სკირელი დ. თუთარაშვილი.

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ნ. ბ. ბოგლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**საბჭოთა** ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წლისად დაკავშირებით თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილების გამგე ამხ. ნიკოლოზ ალექსის-ძე **გოგლიძე** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი,
**1965 წლის 24 ნოემბერი.**

# ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ი. ა. კახიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

**სოფლის** მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წლთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განათლების სამმართველოს უფროსი იოსეს ანდრიასძე **კახიანი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლობელი სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი**
**ზ. კვაჭაძე**

თბილისი, **1965 წ. 23 ნოემბერი.**

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲡᲬᲔᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲒᲠᲔᲛᲚᲘᲡ თეატრში, სადაც 24 ნოემბერს მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა პირველი დამფუძნებელი ყრილობა, — საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფერო სუფევდა. დიდი ყურადღებით მოისმინეს საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ა. ვ. კარაგანოვის მოხსენება სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის წესდების შესახებ, რომელიც ამ ყრილობაზე ორგანიზაციულად გაფორმდება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წესდების თანახმად სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა, ამიათი ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, ვინც მოწოდებით ემსახურება პარტიას, ხალხს. ეს არის კავშირი იდეური მებრძოლებისა, რომლებიც თავიანთი ხელოვნებით აკავშირებენ საბჭოთა საზოგადოების რეგოლუციურ იდეალებს. ეს არის კავშირი შემოქმედებითი მუშაკებისა, რომლებიც იბრძვიან ხელოვნების მწვერვალებისათვის, ოსტატობისათვის, რათა დაეუფლონ მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს, რათა ჩვენი ფილმები სოციალური პროგრესის მატერიალური ძალა იყოს, ხელ უწყობდეს კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის დამკვიდრებას.

მომხსენებელი შეეხო კავშირის წესდების ძირითად დებულებებს, რომლის პროექტი ყრილობამ უნდა დაამტკიცოს.

წესდების პროექტში მოკლედ არის ჩამოყალიბებული საბჭოთა კინოხელოვნების ძირითადი იდეურ-ესთეტიკური პრინციპები. თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წესდებაში ჩაწერილ სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნას—რეგოლუციურ განვითარებაში, მთელი სიგრძე-სიგანით ბისახოს ცხოვრების ნამდვილი სიმართლე.

მოთხოვნების გადიდებისათვის, ფილმის კულტურულათვის ბრძოლაში, თქვა ამხ. კარაგანოვმა, კავშირი მოვალეა ჰყოს საბჭოთა კინემატოგრაფის ეამყვანი ძალა. ამასთან დაკავშირებით მან განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნა წესდების იმ პუნქტის მნიშვნელობა, რომელშიც ნათქვამია, რომ კინემატოგრაფ მოღვაწეებს აქტიური დახმარება უნდა გაეწიოს, რომ ისინი დაეუფლონ მაღალ პროფესიულ ოსტატობას, რომ ფართოდ უნდა გავითარდეს შემოქმედებითი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საბჭოთა კინოხელოვნება მრავალეროვნულია. სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირი ერთიანებს მომავ საბჭოთა რესპუბლიკების საუკეთესო შემოქმედებითს ძალებს. კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, ნათქვამია წესდების ამ პუნქტში, რომ უფრო სრულად შეუწყოს ხელი სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული კინემატოგრაფიების განვითარებასა და ურთიერთგამდიდრებას, საბჭოთა რესპუბლიკების კინემატოგრაფიების შემოქმედებითი გამოცდილების ფართო გაზიარებას და მათ მეგობრულ ურთიერთდახმარებას.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება წესდებაში შემოქმედებით მუშაკთა იდეურ აღზრდას კომუნისტის გამარჯვებისათვის აქტიური ბრძოლის სულისკვეთებით.

წესდებაში გათვალისწინებულია, რომ ᲙᲝᲗᲐᲘᲡᲘᲡ Ქ. Ო. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივი—საქართველოს ფეიქართა არმიის ეს უხუცესი რაზმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადწყვეტილებებს გამოეხმაურა პარტიის XXIII ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ნაკისრი გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებებით. ჩვენი რესპუბლიკის ამ პირველ საფეიქრო საწარმოს ფეიქრებმა იკისრეს 20 დეკემბრისათვის შეასრულონ მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა, პროდუქციის თვითღირებულების თანმიმდევრულად შემცირებით მიაღწიონ 25 ათას მანეთ ზეგეგმითს ეკონომიას, ხოლო სკკპ XXIII ყრილობის გახსნის დღისათვის გაანაღდონ 1966 წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ცხადია, მთავარი ის კი არ არის, რომ ვალდებულებები იკისრეს, არამედ ის, რომ ეს ვალდებულებები პირნათლად გაანაღდონ. ახლა საამისო პირობები ფეიქრებს უკვე აქვთ. საწარმოთა დარგობრივი მართვის პრინციპი სპეციალიზაციის სწრაფი განვითარების საშუალებას იძლევა, ხოლო საწარმოთა სპეციალიზაცია და სტანდარტიზაცია ნაწარმის ხარისხის ამაღლების ნაცადი ბერკეტებია.

სოციალისტურ მრეწველობაში სპეციალიზაცია წარმოადგენს წარმოების დაკონკრეტებულად, გეგმიანად განვითარების პროცესს და ნიშნავს ეროვნული ეკონომიკის მომხმარებელთა მოთხოვნილების გათვალისწინებას, მხოლოდ ისეთი ასორტიმენტისა და ნომენკლატურის ნაწარმის გამოშვებას, რომელზეც მოთხოვნილებაა.

საქალაქო კომიტეტი ამა თუ იმ სამრეწველო ხასიათის საკითხის განხილვისას ცდილობს ორგანიზაციის წინაშე მდგომი საერთო ამოცანებიდან გამოიყოს და გამოკვეთოს ყველაზე მთავარი, არსებითი საკითხები, რომელთა შესრულებასაც ავალებს ამა თუ იმ პასუხისმგებელ მუშაკს გარკვეული ვადის ჩვენებით. შემდგომში, როგორც წესი, დავალების შესრულება მოწმდება და პასუხისმგებელი მუშაკის მიერ გაწეულ შრ

# საბჭოთა ცხოვრება

## ᲮᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘ ᲛᲐᲛᲐᲪᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

რᲝᲛᲘ, 24 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი გ. გონჩაროვი იუწყება: გუშინ სსრ კავშირის რომის საელჩოში საბჭოთა ორდენები გადასცეს იტალიელ მოქალაქეებს, რომლებიც დაჯილდოებული არიან მამაცობისა და გულადობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების გადარჩენისა და მათთვის დახმარების გაწევის დროს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამელით სსრ კავშირის ელჩმა იტალიაში ს. ა. კოზირევმა მეორე ხარისხის სამამაცო ომის ორდენები გადასცა ალდო ფარაბელინის, ოდრანა მონტანაისა და ლუიჯი დე ძორძის და მედალი „მამაცობისათვის“ ერსილია პიცის.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდა ოდრანა მონტანია.

ჯილდოების გადაცემის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ იტალიის პარლამენტის წევრები, იტალიის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელნი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, დემოკრატიული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი.

◆

### საგჭოთა ანსამბლის წარმატება

ᲯᲐᲙᲐᲜᲐ. კუბაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლის კონცერტები. მაყურებელნი ტაშის გრიალით ხვდებიან რუსულ ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, ქართულ ცეკვებს. სსრ კავშირის ხალხთა მელოდიებს.

გაზეთმა „გრანმამ“ საბჭოთა ანსამბლის კონცერტებისადმი მიძღვნილ სტატიაში ქება შეასხა საბჭოთა პროფკავშირების მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა საშემსრულებლო ხელოვნებას.

# ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲡ

ᲤᲐᲜᲔᲜᲘᲐᲜᲘ, 23 ნოემბერი. (საკდესი). „კორეის გაერთიანების პრობლემის გადაჭრის არსი ახლა, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ გაიყვანონ უცხოეთის მთელი ჯარები, მათ შორის ამერიკის ჯარებიც სამხრეთ კორეიდან, — ნათქვამია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც აქ გამოქვეყნდა იმასთან დაკავშირებით, რომ გენერალური ასამბლეის მე-20 სესიამ უნდა განიხილოს კორეის საკითხი. — ამერიკის ჯარებს არავითარი საფუძველი არა აქვთ, რომ სამხრეთ კორეაში დარჩნენ, და კორეის დაზავების შეთანხმების საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები დაუყოვნებლივ უნდა წავიღნენ კორეიდან“.

„თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, — აღნიშნულია განცხადებაში, — გულწრფელად სურს წესდებით დაკისრებული თავდაპირველი მისიის ერთგული იყოს, მან უნდა გააუქმოს „კორეის საკითხზე“ მიღებული ყველა რეზოლუცია, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ზემოქმედებით: შეთხზეს, და უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რათა დაუყოვნებლივ გაიყვანონ სამხრეთ კორეიდან ამერიკელ მილიტარისტთა აგრესიული ჯარები, რომლებიც ოკუპაციას უწევენ სამხრეთ კორეის „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებს“ ალმით, აგრეთვე უნდა დაშალოს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კორეის გაერთიანებისა და აღდგენის საკითხთა კომისია“.

„კორეა, — ხაზგასმულია შემდეგ განცხადებაში, — კორეელ ხალხს ეკუთვნის. კორეის საკითხი კორეელებმა უნდა გადაჭრან ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპების საფუძველზე გარეშე ძალების ჩაურევლად“.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია დასასრულ განცხადებაში, დარწმუნებულია, რომ ყველა სოციალისტური ქვეყანა, აზია, აფრიკისა და ლათინური ამერიკის დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა სულ უფრო აქტიურად დაუჭერენ მხარს კორეელი ხალხის სამართლიან ბრძოლას ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ, სამშობლოს დამოუკიდებელი და მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

# ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲦᲕᲠᲐ ᲒᲣᲚᲐᲕᲐᲘᲝᲡ ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 ნოემბერი. (საკდესი). სისხლით შეიღება სამხრეთ როდეზიის უდიდესი სამრეწველო ცენტრის ბულავაიოს ქუჩები. როგორც იუწიტედ პრეს ინტერნეიშენლის საგანგებო ინტერნეტის კორესპონდენტი იუწყება, ბოლიციამ დღეს სროლა აუტეხა აფრიკელებს, რომლებმაც მპოპომაში (ბულავაიოს გარეუბანი) საპროტესტო დემონსტრაცია მოიწყვეს იმის წინააღმდეგ, რომ სმიტის მთავრობამ ცალმხრივად გამოაცხადა სამხრეთ როდეზიის „დამოუკიდებლობა“. ეროი აფრიკელი მოკლეს, რამდენიმე კაცი დაჭრა.

გაფიცვის ჩასახშობად, რომელიც ქალაქის საწარმოებში დაიწყო, პოლიციურმა ხელისუფლებამ წარსულ ღამით მასობრივად დააპატიმრეს აფრიკელი მუშები. მიუხედავად ამისა, როგორც სამხრეთ როდეზიიდან გამოგზავნილი ცნობებიდან ჩანს, ბულავაიოს გრავალრიცხოვან საწარმოთა მუშების 50 პროცენტი დღეს არ გავიდა სამუშაოდ.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲔᲑᲘ

ᲯᲐᲜᲝᲘ, 24 ნოემბერი. (საკდესი). 22 ნოემბერს ამერიკის ავიაცდა რაკეტნჯერმე დაესხა თავს პროვინციულ ცენტრ ფუტჰოს, დაბომბა და ცეცხლი დაუნთო ჰოსპიტლებს და ქალაქის საცხოვრებელ უბნებს. ამ თავდასხმამ ბევრი ადამიანი იმსხვერპლა, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ამავე დღეს ამერიკის რეაქტიული გამანადგურებელ-ბომბდამშენები თავს დაესხნენ ჰატაუს პროვინციის დასახლებულ პუნქტებსა და სამრეწველო ობიექტებს.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ გუშინ ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას გაუგზავნა ახალი საპროტესტო წერილი, რომელშიც გადაჭრით გმობს ამერიკის მხედრიონის ამ აგრესიულ აქტებს.

# ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 23 ნოემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები თავს დაესხნენ ლაოსის ქალაქ კან-ჭხაის. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 20 ნოემბერს ამერიკის ოთხმა რეაქტიულმა თვითმფრინავმა „F-105“ დაბომბა ქალაქი კან-ჭხაი და ლაოსში ჩინეთის ეკონომიური და კულტურული მისიისა და სინხუას საგენტოს განყოფილების შენობა ამ ქალაქში. დაბომბვის შედეგად ეს შენობა ძლიერ დაზიანდა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიაჩნია, რომ ამერიკის თვითმფრინავების თავდასხმა აშკარა პროვოკაციაა ჩინელი ხალხის წინააღმდეგ. „ჩინეთის მთავრობა და ჩინელი ხალხი, — ხაზგასმულია განცხადებაში, — ამასთან დაკავშირებით დიდ ალფოთებას გამოოქვამენ და მრისხანე პროტესტს უცხადებენ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათ მომხრეებს“.

# ᲤᲐ. ᲛᲘᲢᲔᲠᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 23 ნოემბერი. (საკდესი). „მეც და მეფარცხე ძალებსაც, ვფიქრობ, უფლება გვაქვს განვაცხადოთ, რომ მზად ვართ ვიკისროთ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა“, — განაცხადა ტელევიზიით მეორე წინასაარჩევნო გამოსვლისას ფრანსუა მიტერანმა. მემარცხეენი ძალები, ხაზი გაუსვა ფ. მიტერანმა, უწინარეს ყოვლისა სიმარფლეს ეძებენ.

თავის გამოსვლაში ფ. მიტერანმა კვლავ გადაჭრით გაიელვარა ატომური იარაღის ყოველგვარი გავრცელების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის სულისკვეთების ერთგულია.

ფ. მიტერანი შეეხო აგრეთვე საფრანგეთის კომუნისტური პარტიის როლს რესპუბლიკის ცხოვრებაში. კომუნისტური პარტია, თქვა მან, მიღიონობით მშრომელის წარმომადგენელია, მან ბევრჯერ შეუწყო ხელი საფრანგეთის ეროვნულ აღორძინებას.

# ᲣᲙᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲒᲚᲝ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 24 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ვაშედჩენკო იუწყება: „კორეს“ შეერთებულ შტატებში უწოდებენ სრულიად შეუზღუდავი შეიარაღებული აგრესიის მომბრეებს. ბევრ მათგანს გავლენიანი პოსტი უკავია და მეტად მყვირალაა, ზოგიერთი მათგანი მიღებულია თეთრ სახლში და დაახლოებულია პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონთან.

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში „კოლეს“ ჯგუფში შედიან ორივე პარტიის ლიდერები, საკვანძო კომისიების თავმჯდომარენი, ე. ი. სწორედ ის ადამიანები, რომლებსაც პრეზიდენტ ჯონსონი აუცილებლად ეთათბირება, სანამ დიდი-ზეშენელოვან სამხედრო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მიიღებდეს. ახლა ეს აგრესიულად განწყობილი მოღვაწეები ერთსულოვნად აცხადებენ, ხუროაფერს ნუ მოვერიდებით, ოღონდ კიდევ მივაღწიოთ სამხედრო გამარჯვებას ვიეტნამშია.

როგორც ჩანს, აგრესიულ კონგრესმენებსა და მათ პენტაგონელ მეგობრებს ადარ ძალუძთ ჯეროვანი დასკვნები გამოიტანონ სეიროზული სამხედრო მარცხიდან სამხრეთ ვიეტნამში.

◆

### „ᲬᲚᲘᲡ ᲓᲠᲐᲙᲝᲜᲘᲡ“ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 24 ნოემბერი. (საკდესი). იაპონიის სასებოს ნავსადგურში დღეს განთიადზე ათეული სამხედრო ხომალდის ესკორტით შევიდა ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავი „წლის დრაკონი“. ამერიკის სარდლობა სასებოს ნავსადგურს მეხუთეჯერ იყენებს თავისი ატომური წყალქვეშა ნავების სადგომად.

სასებოში ატომური წყალქვეშა ნავის მისვლამ ადგილობრივ მცხოვრებთა და დემოკრატიული საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია.

# ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲣᲒᲘᲚᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 23 ნოემბერი. (საკდესი). ოცდახუთი წელიწადია გამოდის საფრანგეთის კომპარტიის ყოველკვირეული „ფრანს-ნუველი“. ამ ხნის მანძილზე, წერა დღეს „ლუმანიტეში“ საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟორჟ მარშე, „ფრანს-ნუველი“ ყოველთვის უთრესად აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის ბრძოლაში სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის“.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ სამხედრო ხროვა სამხრეთ ვიეტნამში დანაშაულებრივ აგრესიას აფართოებს და იქ ეგრეთწოდებულ საციალური დანიშნულების ბანაკებს ქმნის. ამ ბანაკების დანიშნულებაა პარტიზანებთან ბრძოლის აქტივიზაცია. მაგრამ ამასაც არ მოაქვს ამერიკელ აგრესორთათვის სასურველი შედეგი.

სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა რაზმები აგრესორებს გამანადგურებელ დარტყმებს აყენებენ. პატრიოტთა თავდადება მტერსაც კი აკვირვებს.

ერთ კვირაზე მეტ ხანს იყო პარტიზანთა გარემოცვაში განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების ბანაკი პლეიმე, რომელიც საიგონის ახლოს მდებარეობს. მაშველ ძალებს, საბრძოლო მასალებსა და სურსათს ბანაკს ჰაერიდან აწვდიდნენ.

• • •

სურათზე: პლეიმეს გარშემორტყმულ ბანაკში ჰაერიდან ყრიან საბრძოლო მასალებს.

◆

# ᲚᲘ. ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲘ. ᲕᲘᲚᲡᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲨᲐᲛᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლ. ჯონსონი, როგორც იუწყება ბრეს ინტერნეიშენლის საგანგებო ეუწყება, ამა წლის 17 დეკემბერს შეხვდება ინგლისის პრემიერ-მინისტრს ჰ. ვილსონს. შეხვედრის ადგილი ჯერჯერობით არ არის დადგენილი, მაგრამ თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეხვედრა, ალბათ, გაიმართება ვაშინგტონში ან ჯონსონის ტეხასის რანჩოში. შეხვედრის დროს განიხილავენ ბევრ საკითხს, მათ შორის ვიეტნამის ომს, ნატოს პოლიტიკას, ინგლის-ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობასა და სამხრეთ როდეზიის დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებას.


## ᲗᲐᲕᲨᲔᲓᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲐ

ᲑᲣᲔᲜᲝᲡ-ᲐᲘᲠᲔᲡᲘ, 24 ნოემბერი. (საკდესი). არგენტინაში სსრ კავშირის საელჩოს წინააღმდეგ თავშედური პროვოკაცია მოაწყეს. 22 ნოემბერს საღამოს უცნობმა ბიჭებმა ბომბი შეაგდეს საელჩოს შენობის პირველი სართულის ტერასაზე. აფეთქებამ სერიოზულად დააზიანა შენობა. მსხვერპლი არ ყოფილა.

საელჩოს მოთხოვნით ადგილობრივი ხელისუფალნი აწარმოებენ გამოძიებას.


# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘ

## 1.

ᲛᲐᲢᲐᲠᲑᲔᲚᲘ მოსკოვი-ვარშავა-ბერლინი-კოპენჰაგენი მიდის სკანდინავიის ქვეყნებში... უნებურად ფიქრობ გენიალურ დანიელ უფლისწულზე ჰამლეტზე, მწერალ მარტინ ანდერსენ-ნექსეზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სოციალისტურ რეალიზმს ხაზოვანგარეთ, გამორნილ მეზღაპრე ჰანს ქრისტიან ანდერსენზე... ფიქრობ ძველ დანიელ მეობრეზე — ვიკინგებზე, რომლებსაც, როგორც პოეტური დანიური სიგა მოგვითხრობს, ძვლები კლდისაგან ჰქონდათ გამოკვეთილი, სისხლად ზღვის ქაფი უდულდათ ძარღვებში, ხოლო საიდუმლო ფიქრებს ნისლები შთაგბრუნებდნენ...

უკვე გავიარეთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა... და აი უკვე დანიაში ვართ. კოპენჰაგენში გვმასპინძლობენ დანიელი ჟურნალისტები და კომუნისტური ფირმა „ფოლკთეურესთი“.

ლამაზი ქვეყანაა დანია. იდეალური საყანეები და საბაღნაროები, ტყეები, ლამაზი ფიორდები. ზღვის სანაპიროს არც ერთი ქალაქი და სოფელი არ არის დაშორებული 50 კილომეტრზე მეტი მანძილით. ხუთას კუნძულზე ცხოვრობს, შრომობს და მსოფლიოს აკვირვებს შრომით და ნიჭით ამ პატარა ქვეყნის ხალხი. დანიელ მშრომელ ხალხს უყვარს საბჭოთა კავშირი, მისი იდეალები — მშვიდობა, შრომა, ბედნიერება, თანასწორუფლებიანობა. მტრებიც არიან ამ ქვეყანაში, მაგრამ მეგობრები უფრო მეტია და ამიტომ ჩვენ ოპტიმიზმით ვუყურებთ დანიისა და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის ბევრი კარგი მეგობარი ცხოვრობს დანიაში. დაუვიწყარი იყო შეხვედრა კოპენჰაგენის კაფე „სამ ყვავში“ ლერმონტოვისა და შოლოხოვის მთარგმნელთან მწერალ ერიკ ჰორსკერთან. მის მიერ თარგმნილი ლერმონტოვის „მასკარადი“ ვნახეთ ჭორსუსის თეატრში. ვეესაუბრეთ ჰორსკერს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სკანდინავიაში თარგმნის პერსპექტივებზე.

— დანიელები აუცილებლად წაიკითხავენ შმობლიურ ენაზე დიდ რუსთაველს, — თქვა მან. — საბჭოთა კავშირ-დანიის მეგობრობის საზოგადოებაში უკვე ზრუნავენ რუსთაველის 800 წლისთავისათვის.

— ქართულ ბალეტს იცნობენ დანიაში, აქ იყო სუხიშვილის ცნობილი ანსამბლი და ფურორი მოახდინა, — გვითხრეს „ლანდ ოგ ფოლკის“ რედაქციაში. დანიაში ჯასტროლებზე იყვნენ დიდი თეატრის სოლისტებიც. მათ შორის ულანოვა, სტრუკოვა, ლაფაური...

რომლებმაც აიღეს კოპენჰაგენის სამეფო თეატრი. აქ კარგად იცნობენ ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, პროკოფიევის და სხვა რუსი, საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებას.

— ამ სეზონზე დიდი წარმატებით მუშაობდა ჯორჯ ბალანჩინი, კოპენჰაგენის დრამატულ თეატრში იდგმება ევრიპიდეს „მედეა“,—ესეც ქართულია,—თქვა ჰორსკერმა, — მედეა ხომ კოლხი ასული იყო. კოლხეთი დანიელმა იცის, უპირველეს ყოვლისა ოქროს საწმისისა და პრომეთეს თქმულებების მიხედვით.

დანიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გაზეთის „ლანდ ოგ ფოლკის“ რედაქციაში გულთბილად მიგვიღეს საბჭოთა ჟურნალისტები. აქ იყვნენ დანიელი კომუნისტები, მუშები, მეთვეზეები. დანიის მშრომელებს უყვართ თავიანთი გაზეთი „ლანდ ოგ ფოლკი“ („ქვეყანა და ხალხი“). — მუშების მიერ შეგროვებული თანხებით არსებობს კომუნისტური გაზეთი, — თქვა მთავარმა რედაქტორმა ვილი კარლსონმა.

დაუვიწყარია შეხვედრა ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ანდერსენ-ნექსეს მემორიალურ აღგილებთან. ხელოვნების უდიდეს ტაძარში — კოპენჰაგენის კლიპტოთეკაში ახალი დროის უდიდესი ფრანგი მოქანდაკის როდენის უნიკალური კოლექციია გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. ჩვენ ენახეთ მისი ქმნილებები, „კალეს მოქალაქენი“, „ვ. ჰიუგო“, „ეპპა დ'არკი“, „ეოცნა“, „ადამი“, „ევა“. როდენმა მისი მოწაფე დიდი ქართველი მოქანდაკე ნიკოლაძე გაგვახსენა. აქვეა ვერეშის უთვალსაჩინესი მხატვრების ვან გოგის, რენუარის, დეგას, პიკასოს, მონეს, მოდელიანის, მჩაგალის და სხვა მხატვრების ქმნილებები. და აი ამ ფონზე რა შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს კოპენჰაგენის გარეუბანში ულტრამოდერნისტული მუზეუმი „ლუზიანა“, სადაც თავმოყრილია მსოფლიოს აბსტრაქციონისტთა და სხვა ულტრამოდერნისტთა ნაციოდვილარი, რომელიც კლასიკაზე მეტად არის რეალისტური.

## 2.

ᲓᲐᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘ ორი რამ სძულთ: გერმანულად ლაპარაკი და ჰამლეტზე საუბარი. პირველი სვასტიკას აგონებთ, მეორე შეჭმპარეთან არის დაკავშირებული, ინგლისურ გენიას განადიდებს და არა დანიურს. დანიელები მცირე ერია, ამიტომ ულტრაპატრიოტიზმი მათთვის დამახასიათებელი თვისებაა.

—მთელ ინგლისს ანდერსენის ერთი ზღაპარი მირჩევნია, — ბეტყვის დანიელი. კოპენჰაგენის სანავსადგურო უბან — „ნიუ-ჰავნში“ დანიელები სცემენ შეედიმს, რომლებიც დანიელ ქალებს გაეარშიყებიან. აქვთ სპეციფიკური გამოთქმაც „ყბა მოგიტანია შვედს“. დანია ჭრის წისქვილების ქვეყანაც არის. ჟურნალისტებს ეს წმრიად დინ-ჯიხოტს აგონებს, ალბათ შესვლა ნატოში დონ-ჯიხოტად მიაჩნიათ, მათ უნდათ, რომ დანია მშვიდობისმოყვარე ნეიტრალური ქვეყანა იყოს.

დანია ღია კარების ქვეყანაა. ერთი მხრივ შვეიცია გვმის 30-40 წუთის საჯალზე, სამხრეთით — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. საზღვარზე პასპორტებსაც არავინ სიხაკავს. შვეიცელები და გერმანელები დანიაში ჩამოდიან იაფი კარაქისა და ხორცის საყიდლად, დანიელები გერმანიასა და შვეიცარიაში მიეშგზავრებიან სამრეწველო ნაწარმის შესაძენად.

სამწუხაროდ, დანია-დასავლეთ გერმანიის საზღვარზე მარტო კარაქი და ხორცი კი არა, საზარბაზნე ხორცის შესაძენადაც გადმოდიან.

თანამედროვე დანიელები ძველი მეომარი რაინდების—ვიკინგების შთამომავლები არიან. ვიკინგები, როგორც პოეტური სკანდინავიური საგა მოგვითხრობს, ოვინოს ხვამდნენ მოკლულთა თავის ქალებისაგან გაკეთებულ სასმისებით. ნატოს მესვეურები მართლაც ოცნებობენ იმ დღეზე, როცა ევროპას სასაფლაო აქცევენ და საფლავის ქვებზე ჩამომსხდარნი დალევენ სიკვდილის სადღეგრძელოს მკვდრების თავის ქალებით. ამიტომ ხომ არ იყიდება კოპენჰაგენის მაღაზიაში თავის ქალის ამბიტაციები! ძველ ვიკინგებს კოპენჰაგენის ქუჩებში ხატავენ რეკლამებზე რქებითა და რძით სავსე სასმისებით, ეს დანიის რძის რეკლამაა. მაგრამ ნატოს ჯარისკაცებს რძის ნაცვლად სისხლი სწყურიათ. მათ ჯონებას უბნელებენ ანტიკომუნიზმისა და რევანშიზმის იდეებით. კოპენჰაგენის ქუჩებში წაყიდებით ბუნდოვარის ჯარისკაცებს.

კრონბორგის ციხე-სიმაგრეში, რომელსაც ლეგენდა ჰამლეტის საკუთრად აცხადებს, ერთმა მოხუცმა თქვა:

— დანია ჰამლეტს მაგონებს. ნატოში მისი შესვლა „ყოფნა-არყოფნის“ თამამია და სხვა არაფერი. დანია ჰამლეტის ორეულია...

შეშვეული მეფე...

ეს ანდერსენის ზღაპარი როდია. ნამდვილ მეფეზეა ლაპარაკი. მეფე, რომელიც ამერიკული ტურისტებისათვის მხოლოდ ეგზოტიკის საგანს წარმოადგენს, დანიაშიც აღნათ მალე ჩაბარდება მუზეუმს. გარეგნულად არაფერი შეცვლილა. როგორც შუა საუკუნეებში, ეგზოტიკურ ტანსაცმელში გამოწყობილი სამეფო ყარაული იცავს სასახლეს. მეფე სიმბოლოა, რომელიც აერთიანებს იუტლანდიის ნახევარკუნძულის, გრენლანდიის, ფარერის კუნძულების მოსახლეობას, მაგრამ მეფე არ მეფობს. მეფეს დანიშნული აქვს ხელფასი. ამას წინათ მეფემ პარლამენტში ითხოვა ხელფასის გადიდება, მაგრამ უარი უთხრეს. როგორც ამბობენ, მეფეს ხელფასი არ ყოფნის. კაცმა რომ თქვას, მეფე მაინდამაინც არ არის სამეფო საქმეებით დაგვირთული. მას აქვს რამდენიმე საყვარელი მისწრაფება, ანუ „ჰობი“, როგორც დასავლეთში იტყვიან ხოლმე. ეს არის მანქანის მართვა საკუთარი ხელით. ხან დირიჟორის როლშიც ჯამდის სამეფო ოპერაში. ამბობენ, მეფე საშუალოზე დაბალი ნიჭის მუსიკოსიაო. მაგრამ მეფე მაინც მეფეა და პირში ვერავინ უბედავს ამის თქმას. უკანასკნელ ხანებში მეფე თავისი ქალიშვილის საბერნეთის მეფისათვის მითხოვებითა და შვეიცარიაში მოგზაურობით იყო გართული. დანიის გაზეთები აბრელებენ იყო მეფის შვილიშვილის დაბადების დღეს მეფის კარის. ქრონიკებით. მოკლედ— მეფე საოჯახო საქმეებს განაგებს.

ანდერსენის შიმველი მეფის ზღაპრის სინამდვილედ ქცევა ძნელად თუ საჭიროდა ვინმეს დანიაში, მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებში ფული მეფობს და არა მეფე. ოქრომ დაამოო ტახტი... ოქრომ წაართვა ყველა ტიტული დინასტიებს და თვითონ გახდა „მისი უდიდებულესობაც“ და „მისი უმაღლესობაც“.

## 3.

ᲙᲘᲠᲩᲔᲚᲘ უძველესი პროფესია...

ეს გასაკვირი პროსტიტუცია. ასე დაკანონდა ეს ტერმინი მსოფლიო ბეჭდვითს სიტყვაში. კოპენჰაგენში პირველ უძველეს პროფესიას მოკლედ ეძახიან „ნიუ-ჰავნს“. ეს ადამის კაბარეებისა და მეძავთა უბანია.

კოპენჰაგენი მსოფლიო ნავსადგურია. მსოფლიოს მეზღვაურებს აქ ემსახურებიან სექსუალური ტრესტების ფილიალები. პარიზის „მულენ რუჟი“, ეფრთაში ცნობილი „მაჭიამი“ და ღმერთმა უწყის კიდევ რა სახელები აქვია მათ. ეს იგივე მაღაზიებია. თუ სხვაგან იყიდება ფორდის მანქანა, პარიზის ავეჯი, ნუმეზნების სიცილიაც და საუბარიც ... ... ...

**ჩვენს მკითხველებს!**

**ძვირფასო მეგობრებო,**

**გამოიწერეთ თუ არა თქვენ 1966 წლისათვის გაზეთი**

**„კომუნისტი“**

**25 ნოემბერი ხელმოწერის უკანასკნელი დღეა**

# მშვიდობიანი ატომი

## დიდი შეფასება

მოსკოვი, 24 ნოემბერი. (საკდესის კორ.). „გვიყვარს საქართველო, მისი ხალხი, მისი ზნეჩვეულებანი და ყველაფერი, რაც „საქართველოსთანაა“ დაკავშირებული. სასიამოვნოა, რომ აქ მოსკოვში, ჩვენ რუსებმა, ვიგრძენით ქართული სიობო და დიდი ქართული სტუმართმოყვარეობა“. ასეთი ჩანაწერი დატოვა მოსკოველთა ჯგუფმა რესტორან „საქართველოს“ შთაბეჭდილებათა წიგნში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე საზოგადოებრივი კვების საუკეთესო საწარმოთა დათვალიერება-კონკურსის დღეებში.

უამრავი მადლობა ქართველ კულინარებისადმი, რომლებმაც მიმდინარე წლის ზაფხულში მოხიბლეს დედაქალაქის მკვიდრნი და სტუმრები შესანიშნავი ოსტატობითა და გულითადობით, ჩაიწერა ამ წიგნში.

კონკურსზე „საქართველომ“ უჩვენა რამდენიმე ათეული შესანიშნავი ეროვნული და საფარმო კერძი, ბევრი მათგანი უკვე შეიტანეს მოსკოვის მთელი რიგი რესტორნებისა და კაფეების მენიუში.

დღეს გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა კონკურსის შედეგებს. სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ნ. ფ. ზავიალოვმა აღნიშნა, რომ „საქართველოს“ ინფინერტექნოლოგი ამხ. მეეფლიშვილი დღეში 25-მდე კონსულტაციას აწყობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დამზადდეს ქართული ეროვნული კერძი. კულინარებსა და აღმოსავლური სამზარეულოს მოყვარულებს რჩევას აძლევდნენ სახელგანთქმული რესტორანის სხვა ოსტატებიც.

კონკურსზე კარგად შეფასდა თბილისის „საქართველოს“ მუშაობა. იგი დაჯილდოდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პირველი ხარისხის დიპლომით, — განაცხადა ნ. ფ. ზავიალოვმა — ასეთივე ჯილდო მოიბოვეს კაფე-სასაუზმე „ტალინმა“, სამაგვარო კაფე „ნიკშტუკასმა“ (ქალაქ ვილნიუსი) და ყაზანის „აშხანე ტატარსტანმა“.

გამოფენის ოქროს მედლები მიიღეს „საქართველოს“ წარმომადგენელმა ბ. ჯ. სამხარაძემ და რესტორანის დირექტორმა ა. ი. თვარაძემ. ვერცხლის მედლებით დაჯილდოდნენ ოსტატი-მზარეული გ. ნ. კერესელიძე, ინსტრუქტორი-კულინარი ნ. ე. მჭედლიშვილი, უფროსი ოფიციანტი ვ. ნ. სხირტლაძე. რესტორანის ოთხ მუშაკს მიენიჭა ბრინჯაოს მედალი.

## ფობა ოთხი ბავშვი

ლაგოსი, 24 ნოემბერი. (საკდესი). ოთხი ბავშვი შობა ლაგოსელი შოფრის ცოლმა, დისახლისმა გრეის იულმა. გრეისი 30 წლისაა. ახლადშობილნი — სამი ბიჭი და გოგონა — თავს კარგად გრძნობენ. ამ ოთხეულინახევრის წინათ იულის ოჯახში ტყუპი გაჩნდა, ორი წლის წინათ კი გრეისმა სამი ბავშვი შობა.

## ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს თათბირი ატომური ენერგეტიკის საკითხებზე

◆

ატომური ფიზიკისა და ბირთვული ტექნიკის აქტუალურ პრობლემებს განიხილავენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე ქვეყნების დელეგაციები მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების მუდმივი კომისიის მეცხრე სხდომაზე, რომელიც გუშინ, 24 ნოემბერს, თბილისში გაიხსნა.

დელეგატებს შორის არის მოძმე სოციალისტური ქვეყნების 100-მდე თვალსაჩინო მეცნიერი და ატომმცოდნე სპეციალისტი. ბულგარეთიდან ჩამოვიდნენ ელექტრონიკის ინსტიტუტის დირექტორი ე. ჯაკოვი და ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ნ. ივანჩევი, უნგრეთიდან — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების საკითხთა საბჭოს გენერალური მდივანი რ. კოლოში, ატომური ენერგიის სახელმწიფო კომიტეტის მდივანი მ. კიოკენი და მძიმე ინდუსტრიის მინისტრის მოადგილე ა. ლუვანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან — კვლევისა და ტექნიკის სტატს-მდივნის მოადგილე რ. მიულერი, სახელმწიფო საბჭოს კომისიის ელექტრო და თბოენერგიისა და გაზის განყოფილების ხელმძღვანელი ჰ. ბრაიერი, როსენდორფის ატომგულის კვლევის ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი ჰ. ფაულშტიხი და კვლევისა და ტექნიკის რენენკო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი ე. ანდრონიკაშვილი, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის სტაბილურ იზოტოთა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ტ. გაგუა და სხვები.

პლენარული სხდომა გახსნა ნ. სინევამ. სხდომის მონაწილეებს საქართველოს მთავრობის სახელით მიესალმა და წარმატება უსურვა მუშაობაში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. ჩოგოვაძემ.

ოთხი დღის მანძილზე დელეგაციები განიხილავენ ატომური ენერგეტიკის, ბირთვული ხელსაწყოთმშენებლობის, იზოტოპებისა და ნიშანდებული შენაერთების, დამცველი ტექნიკის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში იზოტოპებისა და ატომური გამოსხივების გამოყენების საჭირბოროტო პრობლემებს. განიხილავენ აგრეთვე ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში 1966-1970 წლების მეცნიერულ-ტექნიკური კვლევის სტანდარტიზაციისა და კოორდინაციის საკითხებს. (საქდესი).

• • •

**ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სემინარის მონაწილენი (მარცხნიდან მარჯვნივ) ლ. მანტასკუ, ნ. შტეფანესკუ (რუმინეთი), გ. შუმანი (გდრ), გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელი რ. მიულერი, უნგრეთის დელეგაციის ხელმძღვანელი რ. კოლოი, ა. ლევაი, მ. კოკოინი (უნგრეთი) და ჯ. სტოიანი (რუმინეთი) ეცნობიან თბილისს.**

ფოტო ბ. დადვაძისა
(საქდესის ფოტოკორონიკა)

## ლონდონის საფეხბურთო მერიდიანზე

**თეძგსამეძიდან** უკვე ცნობილია თანამედროვე ფეხბურთის ფორმეტი გროსმეისტერი. ესენი არიან: ბრაზილიის, ინგლისის, სსრ კავშირის, ურუგვაის, მექსიკის, არგენტინის, ჩილის, უნგრეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, პორტუგალიისა და ესპანეთის გუნდები.

ბრძოლა ოქროს ბალ-ლონდონი სათვის დაიწყება 11 ივლისს. მეოთხედფინალები ჩატარდება 13 ივლისს ლონდონში, სანდერლენდში, ლივერპულსა და მანჩესტერში, ნახევარფინალები—26 ივლისს ლონდონსა და ლივერპულში, ფინალი — ლონდონში 30 ივლისს.

ბილეთების გაყიდვა უკვე დაიწყო. განცხადი გაგზავნა 80-ზე მეტმა ქვეყანამ. მწვავედ დგას ფოტოკორესპონდენტების დაშვების საკითხი. საორგანიზაციო კომიტეტი პრიორიტეტს აძლევს იმ ფოტოკორესპონდენტებს, რომელთა სიმაღლე 167 სანტიმეტრს არ აღემატება. ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელი არ შეუშალონ მაყურებლებს. დღისით ითამაშებენ ნარინჯისფერი ბურთებით, საღამოს — თეთრი ბურთებით.

## ბორის ჩოგოვაძე

24 ნოემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო კიბერნეტიკოსთა მეოთხე სიმპოზიუმმა. სიმპოზიუმი მოიწვიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულმა „კიბერნეტიკის“ კომპლექსური პრობლემის სამეცნიერო საბჭომ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტმა.

სიმპოზიუმში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, ტალინის, ვილნიუსის, ბაქოს, ერევნის, ხარკოვის, ვორონეჟის, ნოვოსიბირსკისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების მეცნიერები.

სიმპოზიუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. კავეშნიძემ. (საქდესი).

## ქითხვა-პასუხის საღამო

ქუთაისი. (საკ. კორ.). სტუდენტთა და ლექტორ-მასწავლებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია კითხვა-პასუხის საღამომ, რომელიც პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიაროს ინიციატივით მოეწყო.

დამსწრეთა შეკითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიას, ჩვენი ქვეყნის სამინაო და საგარეო პოლიტიკას, ლიტერატურასა და ხელოვნებას, ფიზიკას, ქიმიას, ასტრონომიას, ბიოლოგიას, ამომწურავი პასუხი გასცეს ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა.

## ა. ა. ავაზაშვილი

**გარდაიცვალა** უყარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ა. ა. ავაზაშვილი.

ა. ა. ავაზაშვილი დაიბადა 1914 წელს ყვარელში, გლეხის ოჯახში. საშუალო განათლება თბილისში მიიღო. 1936 წელს შეედა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1941 წელს დამთავრა. ა. ა. ავაზაშვილმა შრომითი საქმიანობა სწავლის პერიოდში დაიწყო.

1939 წლიდან იგი მუშაობდა ყურნალ „ახალგაზრდა ბოლშევიკის“ პასუხისმგებელ მდივნად. ხოლო 1941 წლიდან ამავე ყურნალის რედაქტორის მოადგილედ.

1941-1942 წლებში ა. ა. ავაზაშვილი კომკავშირულ სამუშაოზეა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატში — იყო ჯგუფი ახალგაზრდობის განყოფილების ინსტრუქტორი, შემდეგ გამგე.

1942 წლის აპრილში ა. ა. ავაზაშვილი დანიშნეს საქართველოს სსრ მინათმოქმედების სახალხო კომისარიატის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწედ კომკავშირულ მუშაობაში.

1942 წლის ოქტომბერში ა. ა. ავაზაშვილი აირჩიეს პარტიის ყვარლის რაიკომის მეორე მდივნად, ხოლო 1944 წლის აპრილში — ყვარლის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1959 წელს ა. ა. ავაზაშვილი აირჩეს ყვარლის ... ... ...